MES 7 23 0000156924

10/02/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.01.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:24 სთ
სხდომის დასრულების დრო:
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
4. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
8. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
9. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

11. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეიმურაზ ქორიძე	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერისტეტი	რექტორი	I
2	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	ჟანეტა კილასონია		ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I
4	თამარ თვალაძე		ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ანა ბოჟაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
7	თეა ზარქუა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	თამარ ჩიკვილაძე		ფაკულტეტის დეკანი	II
9	ეკატერინე მუსხაჯბა			III

		შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი	
10	ნათია მიქელთაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11	ომარ ლომიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
12	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
13	გიორგი ლომიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	რამაზ კუკულაძე	შპს ალტე უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	V
15	გიორგი ლემონჯავა		პროგრამის ხელმძღვანელი	V
16	გიორგი კობერიძე		ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	V
17	ირმა ნოზაძე		ხარისხის მართვის და შესაბამისობის სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი	V
18	ნინო ჟვანია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
19	ივანე ხუციშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	VI
20	ნატალია თვალჭრელიძე		ილიაუნის თეატრის დირექტორი	VI
21	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ინგა დიაკონიძე	ჩაერთო „ზუმით“	I
2	ეკა ფიფია	ჩაერთო „ზუმით“	I
3	თამთა ლეკიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	I
4	სოფიო ბაზაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
5	ანა მჭედლიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	I
6	ირინე ფხაკაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
7	მაკა ჯავახია	ჩაერთო „ზუმით“	II
8	გიგა ხოსიტაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II
9	ეკატერინე-მადონა ბუაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
10	გივი სანაძე	ჩაერთო „ზუმით“	III
11	ნინო გორგოშაძე	ჩაერთო „ზუმით“	III
12	ეკა ლეკაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
13	მაია ბარამიძე	ჩაერთო „ზუმით“	IV
14	ირაკლი მანველიძე	ჩაერთო „ზუმით“	V
15	ნინო გუნია-კუზნეცოვა	ჩაერთო „ზუმით“	VI

აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას 2 უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა 2 უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-4 5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა.
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო სანამანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. შპს ალტე უნივერსიტეტის „საერთაშორო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის

გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .
6. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის
გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა.
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო სანამანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. შპს ალტე უნივერსიტეტის „საერთაშორო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის
გ ა ნ ხ ი ლ ვ ა .
6. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია English Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.12.2011, გადაწყვეტილება №402
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ენის დაუფლება 0231 Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. №25, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ინგა დიაკონიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს და ამ დროიდან მოყოლებული მასში შევიდა გარკვული დადებითი ცვლილებები. მაგალითად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამაში მოხდა პრაქტიკის კომპონენტის ინტეგრირება, ასევე აღსანიშნავია დადებითი განწყობა კურსდამთავრებულების მხრიდან. რაც შეეხება თვითონ პროგრამას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფას, დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში კი, ფუნქციონირებს ონლაინ პლათფორმაც. ექსპერტმა აქვე აღნიშნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მუდმივი მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში კონსულტაცია გაუწიონ სტუდენტებს და შეუქმნან მათ კეთილგანწყობილი გარემო, ასევე თქვა რომ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტში არსებული ტელევიზია , სადაც ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ინგლისურენოვანი რეპორტაჟების მომზადებაში, თუმცა პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ , საჭიროა პროგრამის მიზნებისა და შედეგების სრულ შესაბამისობაში მოყვანა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, პროგრამის

შინაარსთან/სტუქტურასთან და მისაღწევ ენობრივ კომპეტენციასთან სინქრონიზაცია, პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფა, ცალკეული კურსების შინაარსის დახვეწა, პერსონალის და სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის დანერგვა-განვითარება, დამსაქმებლისა და მოწვეული პერსონალის განვითარება-შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა და ზოგადად ხარისხის კულტურის გაუმჯობესება. შესაბამისად შეფასებამ შემდეგი სახე მიიღო. 1 სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები კი, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თამარ ტუფინაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მათი პროგრამა როგორც ექსპერტმა თქვა 2011 წელს იყო პირველად აკრედიტებული და იქამდე ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში ხორციელდებოდა. მან ასევე თქვა, რომ ამ პროგრამის განხორციელების და განვითარების დიდი სურვილი გააჩნია ინსტიტუციას. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის რომ ეს პროგრამა განვითარდეს და შესაბამისი ხარისხი დაიდოს. მისი აზრით, საკმაოდ პრობლემურად არის წარმოჩენილი მიზნების, შედეგების, შინაარსის ერთმანეთთან თავსებადობა და ასევე მიღების წინაპირობები. მისი თქმით, მიღების წინაპირობაში უსდ-ს განსაზღვრული აქვს ოთხი უცხო ენით მიღება , რაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით არის დაშვებული, თუმცა ამის შესახებ ექსპერტებმაც მოითხოვეს ინფორმაცია, რაც ინსტიტუციამ მიაწოდა 2020-2022 წლის მონაცემების შესაბამისად და ასევე შეეძლოთ ნებისმიერი წინა წლის ინფორმაციის მიწოდება. გარდა ამისა, უსდ-ს ყველა სტუდენტი ჩარიცხული ჰყავდა ინგლისური ენით, თუმცა გაიზიარეს ექსპერტთა რეკომენდაცია, რომ აუცილებლად შეიმუშავებენ ინტენსიურ სასწავლო კურსს, რომელსაც შესთავაზებენ პირველ სემესტრში ისეთ სტუდენტებს, რომელთა ენობრივი კომპეტენციაც იქნება ძალიან დაბალი .

თამარ ტუფინაშვილმა მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით თქვა შემდეგი: მათ როდესაც დაიწყეს პროგრამაზე მუშაობა, ისინი დაეყრდნენ, დეტალური სფეროს აღმწერს, ბაზის მოთხოვნებს და პროგრამა ააგეს ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, ის მიზნები და შედეგები თუნდაც ის რომ ექსპერტები ითხოვდნენ რამდენიმე შედეგის გაერთიანებას, ეს ყველაფერი მათ ქონდათ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობის საფუძველზე. მან აქვე აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია ერთმანეთს ფარავს. ასევე ისაუბრა მოწვეული პერსონალის ჩართულობაზე და თქვა რომ დარგის მოწვეული პერსონალი თვითშეფასების და განვითარების პროცესში ნამდვილად იყო ჩართული, თუმცა გარკვეული რაოდენობა პერსონალისა, რომელიც შეხვედრაზე იყო წარმოდგენილი და რომლებიც არ იყვნენ დარგის სპეციალისტები და ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც არჩევით კურსს ახორციელებდა, ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა არჩეული მათი სტუდენტების მიერ . შესაბამისად ასეთი პერსონალი არ ყოფილა ჩართული თვითშეფასების პროცესში .

მისივე თქმით, რამდენიმე რეკომენდაცია ეხება პროგრამაში ინგლისური ენისთვის გამოყოფილი საათების და კრედიტების რაოდენობას. მან ასევე დაამატა, რომ ეს ყველაფერი შემდეგ უკვე ასასახია პროგრამის მიზნებში.

მან ასევე აღნიშნა, რომ ესმის სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოდა ამ ევროპული ჩარჩოთი განსაზღვრული საათების რაოდენობა. როდესაც მათ დაიწყეს ამ პროგრამაზე მუშაობა, ისინი დაეყრდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტებს. გარდა ამისა, მათ შეისწავლეს მათი საგანმანათლებლო ბაზარი და დეტალურად დაახასიათეს დარგობრივი მახასიათებლები. ასეთი საათობრივი განაწილებაა, მაგალითად არსებული კრედიტებიდან, 108 სავალდებულო კრედიტიდან 104 ეთმობა მთლიანად ინგლისურ ენას. მან აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი ესმის და

ეს ცვლილებები შესატანი აქვთ, საათებიც გასაზრდელი აქვთ, კრედიტებიც გასაზრდელი აქვთ და ამ საკითხთან დაწესებულება არ მოდის წინააღმდეგობაში. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არის ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიერ გაწერილი საათები, თუმცა ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში ასეთი კატეგორიული მოთხოვნა საათებთან დაკავშირებით არ არსებობს და მსგავსი მოთხოვნა ვერც იმ პროგრამებში ამოიკითხეს, რომლებიც საგანმანათლებლო ბაზარზე არსებობს .
რაც შეეხება პრაქტიკას, თუ წაიკითხავენ ამ სილაბუსს, ნახავენ, რომ პრაქტიკის სილაბუსის ავტორი არის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. თვითონ პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი უშუალოდ განისაზღვრება პრაქტიკაზე სტუდენტების დაშვების წინ და აქვე ხდება დამატებითი ხელშეკრულებით გარკვეული პირობების დაზუსტება . მან აღნიშნა რომ პრაქტიკა აქამდე არ ჰქონიათ, საბაკალავრო პროგრამაში, შესაბამისად ახლა დაიწყეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოთხოვნის შედეგად და დარწმუნებულები არიან, რომ შესაბამის დონეზე მოახერხებენ მის განვითარებას .
მან ასევე თქვა, რომ ის არ ეთანხმება გარკვეული კომპონენტების შეფასებას და აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, საბჭოს წევრებმა კარგად იციან აკრედიტაციის დებულების 26-ე პრიმა მუხლი, სადაც არის დეტალური განმარტება ოთხდონიანი შეფასების სკალის თაობაზე, სადაც წერია ნაწილობრივი შეფასება განისაზღვრება კომპონენტით იმ დროს, როდესაც ეს ყველაფერი არის ჩანასახოვან ეტაპზე. თუმცა არის მზაობა ამ ყველაფერის გამოსასწორებლად და განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას ნამდვილად არ სჭირდება ასეთი დრო და დაწესებულებას ამისი მზაობა და რესურსი ნამდვილად აქვს. მან აქვე დაამატა, რომ გარკვეულ რეკომენდაციებს იზიარებენ, გარკვეულ რეკომენდაციებს ნაწილობრივ იზიარებენ, არ ეთანხმებიან ზოგიერთს მაგრამ მთლიანობაში ორიენტირებულნი არიან პროგრამის განვითარებაზე.

ბოლოს კი დაამატა, რომ პროგრამას ჰყავდა სხვა ხელმძღვანელი როდესაც ისინი მუშაობდნენ, ქალბატონი რუსუდან ტაფტიაშვილი, რომელიც გარკვეული ოჯახური პირობების გართულების შედეგად ვეღარ ახერხებდა პროგრამის სათანადოდ გაძღოლას, სექტემბრიდან დანიშნეს მეორე ხელძღვანელი, სემესტრის ბოლოდან კი ქალბატონი რუსიკო მთლიანად ჩაეხსნა პროგრამას და დღესდღეობით პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, ქალბატონი თამარ თვალაძე .
პროგრამის ხელმღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ წარმოდგენილი პროგრამა რეალურად დაუფლების კომპეტენციის დონეს აბსოლუტურად აკმაყოფილებს. ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტების მხრიდან იქნა გაცემული, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება, სავალდებულო ლიტერატურასთან, კრედიტებთან და საათებთან დაკავშირებით და ეს ყველაფერი მაქსიმალურად მცირე დროში იქნება გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა დაწესებულებასთან. უშუალოდ იმ მიზანთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მთარგმნელობითი უნარების განვითარებას. თქვა რომ ყურადღებით გადახედა პროგრამას, სილაბუსებს და დასახულ მიზნებს და გაუჩნდა კითხვა, ვინაიდან ეს მიმართულება ისწავლება არჩევითი კურსების ფარგლებში, დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით, რამდენად უზრუნველყოფს ეს ყველაფერი პროგრამის დასახული მიზნის მიღწევას?
რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ რეფერირება/რეცენზირება მათთან იყო არჩევითი საგანი, თუმცა მზად იყვნენ, ეს საგანი არჩევითი კურსიდან ძირითად საგანში გადმოვიდეს, მაგრამ აქვე აღნიშნა რომ ინგლისური ენა 4,5,6, თვითონ სილაბუსი მოიცავს ძალიან ბევრ საკითხს, რომელიც არის თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებული, იგივე

თარგმანი, პირდაპირი თარგმანი , წერილობითი, სინქრონული თარგმანი, რომელიც როგორც ქართულიდან ინგლისურ და ასევე ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმანს მოიცავს. ეს ყველაფერი კი უშუალოდ სილაბუსშია გაწერილი.
ქალბატონმა ირინამ პასუხიდან გამომდინარე დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა , რომ პროგრამის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ სინქრონული თარგმანის, წერითი თარგმანის და ა.შ ერთ დონეზე, ერთ-ერთი კურსის ფარგლებში შესწავლა შესაძლებელია?
რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ერთი კურსის ფარგლებში არც არის გაწერილი. მან თქვა, რომ სილაბუსებში გაწერილია თარგმანი, ყოველდღიურად ის მეთოდები რაც კეთდება ლექციაზე, თვითონ თარგმანი მოიცავს, თუმცა ეს არის რაღაც კომპონენტი და მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის საკმარისი, B 2 დონის მისაღწევად, საკმარისად შეიძლება, ჩაითვალოს. მან ასევე აღიარა, რომ ტექსტის რეფერირება-რეცენზირება აუცილებლად უნდა იყოს ძირითად კურსში.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დაუსვა შეკითხვა ინგა დიაკონიძეს მეორე უცხო ენის საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, მეორე უცხო ენის ბლოკი მოიცავს 20 კრედიტს და არის 5 კრედიტიანი კვირაში 4 საათი. დასკვნაში კი ნახსენებია, რომ საჭიროა, გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა, რომ დარგობრივი უცხო ენა იყოს და დაინტერესდა, რამდენად საჭიროა მეორე უცხო ენისთვის სადაც კრედიტების რაოდენობა არის 20, რაც სრულიად საკმარისია და პლუს დარგობრივი ისწავლებოდეს?
მეორე შეკითხვა დასვა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, კარგია რომ გაწერილი პროცედურები ჰქონდეს ინსტიტუციას. პირველივე სემესტრიდან დაიწყოს სპეციალობის შესწავლა რაც მისი აზრით მართებულია, აქვე დაამატა როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა დააკონკრეტა, პრაქტიკა აჩვენებს რომ ინგლისური ენით შემოდის აპლიკანტი და აბიტურიენტი. მისი აზრით ეს რეკომენდაცია მართებული იქნებოდა, პირდაპირ დაზუსტებული იყოს უცხო ენის სწავლება და ეს იყოს ერთადერთი ინგლისური ენა, ვინაიდან, პროცედურულად უფრო მარტივად დაალაგებს პროგრამაზე შემოსვლის წინაპირობებს.
ინგა დიაკონიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს შეკითხვისთვის და თქვა რომ ეს რეკომენდაცია პირველ რიგში გამოიწვია იმან, რომ პროგრამის მეორე მიზანში პირდაპირ ჩამოყალიბებულია შემდეგი "მათი მიზანია დარგობრივი ენის კომპეტენცია მისცენ არა მხოლოდ ინგლისურში არამედ მეორე ენაში", შესაბამისად, ამან გამოიწვია ამ რეკომენდაციის არსებობა. რომ არ ყოფილიყო ეს მიზნად დასახული, არ ექნებოდათ ანალოგიური რეკომენდაცია გაზრდილიყო საათები ან ესწავლებინათ მეორე უცხო ენა.
მან ასევე თქვა, რომ საკონტაქტო საათები ბმაში მოდის ამასთან, იმიტომ რომ ის რაც არის, უზრუნველყოფს B1 +ს და არა დარგობრივს, შესაბამისად ამით იყო ეს რეკომენდაცია განპირობებული .
თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ის აბსოლუტურად ეთანხმება მაკა კაჭარავას და, ისინი აუცილებლად გადახედავენ წინაპირობას და დააკონკრეტებენ ამ ენას, რაც ბევრ პრობლემას მოხსნის. მისი თქმით, სტუდენტები მხოლოდ ინგლისურით ირიცხებიან. რაც შეეხება დარგობრივს, თუ სილაბუსებს ჩახედავენ, გერმანული და ფრანგული ენის სილაბუსებში ნამდვილად განსაზღვრულია დონე, რომელიც ნამდვილად არ არის B2 და გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი ასწავლიან მხოლოდ ჯენერალს, ანუ ზოგად დონეს, რაც ნამდვილად მათი ხარვეზია, რის გამოც, მოუწევთ მიზნებსა და შედეგებში ამ ხარვეზის გამოსწორება. მან ასევე თქვა, რომ მათი განმახორციელებელი პერსონალიც არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ უნდა ისწავლებოდეს მეორე უცხოური ენა დარგობრივი ასპექტით, შესაბამისად იქნება 20 კრედიტი კვირაში 4 საათი, მაგრამ იქნება ზოგადი გერმანული, ზოგადი ფრანგული, რაც საკმარისი იქნება როგორც კრედიტების რაოდენობით, ასევე საკმარისი იქნება ის საათები, რომლებიც შესაბამის ენის ფლობის კომპეტენციამდე მიიყვანს სტუდენტს .
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა პროგრამის ხელმძღვანელთან. როგორც თვითონ აღნიშნა, ბევრია სამუშაო თარგმანის კომპეტენციის გასაძლიერებლად და აცხადებენ მზაობას არჩევითიდან

სავალდებულოში გადმოტანაზე. შესაბამისად, დასვა შეკითხვა როგორ ხედავდნენ კურსის გადმოტანას, ეს კურსი არჩევითი კრედიტების შემცირების ხარჯზე დაემატებოდა სავალდებულო კურსებს და ასე გაიზრდებოდა კრედიტი თუ როგორ ესახებოდათ არჩევითიდან სავალდებულო კურსში გადატანა, კრედიტების ცვლილებით, უცვლელად თუ როგორ?

თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება არ იქნება, იმიტომ რომ გარანტირებული იყოს არჩევითობა, რაც სტუდენტს დამატებით მისცემს ტრასნფერული უნარების განვითარების საშუალებას. თუმცა გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება. რაღაც გადავა, რაღაც გადმოვა, ასევე შესაძლებელია, რაღაც კრედიტი გადაიხედოს, სასწავლო კურსის შესწავლის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება კრედიტებიც გადაიხედოს. ბოლოს თქვა, რომ ამაზე ჯერ არ უმუშავიათ და გარკვეული პასუხი არ აქვთ. აქვე დაამატა, რომ ამის მზაობა ნამდვილად აქვთ.

საბჭოს წევრი თამარ სირაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა რომ მისი პირველი შეკითხვა ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომს და პრაქტიკას. არის თუ არა ორივე სავალდებულო? და თუ ორივე სავალდებულოა, საბაკალავროს გადანაწილება როგორ ხდება, ენათმეცნიერების და ლიტერატურის მიხედვით? ასევე დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით, საბაკალავრო ნაშრომების გადანაწილებით, ასევე დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა პრაქტიკაში? როგორ ხდებოდა, რომელ დაწესებულებებში და ა.შ?

თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ ამ პროგრამაზე მათ ჰყავდათ 50-მდე სტუდენტი და ეს ინსტიტუციისთვის იყო მნიშვნელოვანი პროგრამა. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დებულებაში, მითითებული იყო, რომ სტუდენტი იმ პროფესორთან შეთანხმებით, ვისი კვლევის სწავლების დაინტერესების სფეროა ამ სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომი, ხდება ამ თემის დამტკიცება, სკოლის საბჭოზე. ისინი არ ირჩევდნენ თემებიდან, არამედ ითვალისწინებდნენ, სტუდენტების აზრს. ასევე დებულებით განსაზღვრულია, რომ თითოეულ პერსონალს არ შეიძლება ჰყავდეს 5 სტუდენტზე მეტი.

რაც შეეხება პრაქტიკას, ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ ტურისტულ სააგენტოსთან, ხელოვნების სასახლესთან და კიდევ გააფორმებენ, რადგან აქამდე პრაქტიკა საერთოდ არ ჰქონდათ. თუმცა დაწესებულებას აქვს თავისი ტელევიზია და სტუდენტები ჩართულნი არიან ტელევიზიის მუშაობაში, ონლაინ გადაცემის მომზადებაში და ა.შ. მაგრამ როგორც უკვე ზემოთ აღნიშნა, ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ, რომლის თანახმადაც სტუდენტს ისეთი დატვირთვა ექნება, რომ შეძლოს პრაქტიკაზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.

თამარ სირაძემ დააზუსტა შეკითხვა, 50 სტუდენტი ეს ერთი მიღების რაოდენობა იყო?

რაზეც უპასუხეს რომ ეს არის ოთხივე კურსის სტუდენტების რაოდენობათა ჯამი. აქვე დაამატა, რომ გამოცხადებული იყო 20 ადგილი და ოცივე სტუდენტი ჩაირიცხა.

თამარ სირაძემ დასვა შეკითხვა ასევე ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულებას შეთავაზებული ქონდა ინგლისური ლიტერატურის ოთხი კურსი, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე და ამაზე მითითებული იყო ორი სხვადასხვა სემესტრი. მან ითხოვა დაზუსტება, სტუდენტმა ერთი და იგივე კურსი ჯერ ქართულ ენაზე უნდა გაიაროს და შემდეგ ინგლისურ ენაზე?

რაზეც თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ ასე არ ხდებოდა. ინგლისური საჭიროებდა გარკვეულ წინაპირობებს და შესაბამისად ინგლისურში შეიძლებოდა სემესტრებში აცდენა ყოფილიყო წინაპირობებიდან გამომდინარე, რათა სტუდენტს ჰქონოდა იმისი კომპეტენცია, რომ ეს სასწავლო კურსი გაევლო უცხოურ ენაზე.

თამარ სირაძემ დასვა შეკითხვა, მაგალითად ინგლისური ლიტერატურა 3 ისწავლებოდა მე-3 სემესტრშიც და მე-6 სემესტრშიც. თუ სტუდენტმა მესამე სემესტრში გაიარა ქართულ ენაზე და უნდოდა ინგლისურადაც გაევლო, ამ შემთხვევაში რა მოხდებოდა?

რაზეც თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, სტუდენტმა რომ ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსი გაიაროს, საჭიროა სულ სხვა წინაპირობები ვიდრე ქართულად გავლას სჭირდება. როცა

სტუდენტს უკვე გავლილი აქვს სასწავლო კურსები და აკმაყოფილებს წინაპირობებს ამ შემთხვევაში , შეუძლია ინგლისურ ენაზე აიღოს სასწავლო კურსი. რომ შევაჯამოთ, ინგლისურ ენაზე გავლას სხვა წინაპირობა სჭირდება, ქართულ ენაზე გავლას კი - სხვა.
თამარ სირაძემ იკითხა, სტუდენტმა თავიდანვე უნდა გადაწყვიტოს რომელ ენაზე უნდა საგნის გავლა?
რაზეც თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, ვინაიდან მათი დაწესებულება არ არიას დიდი უნივერსიტეტი, სტუდენტები მაქსიმალურ მხარდაჭერას იღებენ როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან, სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. ამიტომ როცა ისინი თავიდან აბარებენ უნივერსიტეტში, გადიან ყველა კომპონენტს. ყოველი სასწავლო კურსის წინ, რეალურად სტუდენტი იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იღებს მაქსიმალურ ინფორმაციას ამ ყველაფერთან დაკავშირებით.
და ბოლოს თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ არჩევით კურსში აქვთ ინგლისური ლიტერატურის მოკლე კურსი, რომელიც ფაქტობრივად იმეორებს იმას, რაც არის სავალდებულო კურსის 1-ლი, მე-2 , მე-3 , მე-4 ლიტერატურის კურსებიდან და იკითხა რას ემსახურებოდა ამ კურსის არსებობა, გარდა იმისა რომ წერია, რომ ინგლისურ ენაზეა, მაგრამ მასალა ფაქტობრივად ერთი და იგივეა .
რაზეც თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ გადახედავდნენ ამ საკითხს .
მაკა კაჭარავამ დასვა შეკითხვა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც ექსპერტი ითხოვდა მიზნის დახვეწას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და ნახსენებია ინგლისური ენის კომპეტენციის მისაღწევი დონე B2. ის დაინტერესდა, რამდენად საკმარისად მიაჩნდათ ენობრივი კომპეტენციის დონე B2, როდესაც ლაპარაკია ინგლისური ენის საბაკალავრო პროგრამაზე, განსხვავება უნდა იყოს სხვა პროგრამებს შორის.
რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ისინი მოერიდნენ რადიკალური რეკომენდაციის გაწერას იმიტომ, რომ კანონმდებლობით არსად არ არის გაწერილი, რომ აუცილებლად უფრო მეტ დონეს უნდა აღწევდეს. მისი პირადი მოსაზრება ნამდვილად დაემთხვა საბჭოს წევრის მოსაზრებას, რომ უფრო მაღალ დონეს უნდა აღწევდეს ინგლისური ენის ფილოლოგია, იმიტომ რომ ნებისმიერი სხვა სპეციალობის ადამიანი B2 დონეს ინგლისურს იღებს, მაგრამ ამ საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, მოერიდნენ რადიკალური რეკომენდაციის გაცემას. რაც შეეხება B2 + და C 1 შორის არჩევანს, ექსპერტის პირადი მოსაზრება შემდეგია: თუ B2 + დაისახავენ პროგრამის მიზნად აქ ცოტა მეტი შრომა და ძალისხმევა დასჭირდებათ, ამის შესაფასებელი მექანიზმების დასადებად, რადგან როგორც წესი, პროგრამები სადაც B2 + არის განსაზღვრული, უჭირთ ხოლმე ქულების გრადაციის და სხვა დეტალების განსაზღვრა, რომელია B2 და რომელი B2 +. მან ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებში ეს ხდება ქულების გრადაციის მიხედვით, სადღაც 2-3 ქულის განსხვავებით, არის B2 +.ჩვენი კანონმდებლობა და პლიუს შეფასების სისტემები, რომელსაც უნივერისტეტები სთავაზობენ, ცოტა სირთულესთან არის დაკავშირებული, თუმცა არც ეს არის გადაუჭრელი პრობლემა. ბოლოს კი დაამატა,, რომ სწორედ ამან გამოიწვია ამ საკითხთან არსებული რეკომენდაციები.
ირინა ლობჟანიძემ დასვა შეკითხვა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გადახედა არსებულ დოკუმენტაციას და გაცემულ რეკომენდაციებს უშუალოდ კვლევასთან დაკავშირებით და თქვა, რომ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შრომის ბაზრის კვლევის შედეგად ძირითადი დასაქმების სფერო არის პედაგოგიური საქმიანობა და დაინტერესდა, თვითონ ბაზრის კვლევა განიხილებოდა თუ არა პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების დროს და რის საფუძველზე მოხდა ამის ჩამოყალიბება?
რაზეც თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე რამდენიმე პროგრამა ქონდათ გამოტანილი და თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს ჩატარებული აქვს კვლევა. როდესაც დაწესებულება ატარებს კვლევას, ყოველთვის უკავშირდებიან კვლევით კომპანიას, რომელსაც აქვს კვლევის შესაბამისი გამოცდილება და

რომელთან ერთადაც დგება ეს კითხვარი, სადაც გათვალისწინებულია დეტალური სფეროს სწავლის თავისებურებები და ა.შ. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზუსტად ამ პროგრამის შესაბამისობის დადგენა ბაზრის მოთხოვნებთან, რას ითხოვს ბაზარი ზოგადად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისგან. მისი თქმით, დიდი შედეგი აქ ვერ ნახეს გამომდინარე იქიდან, რომ როგორც კი ჩატარდა კვლევა დამსაქმებელთან იყო საუბარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დამსაქმებლებისთვის ეს საკითხი ძირითად ასოცირდებოდა მთარგმნელობით უნარ-ჩვევებთან და ასევე ასოცირდებოდა კომუნიკაციის უფრო მაღალ დონესთან. მან აღნიშნა, რომ დამსაქმებლები ვერ ერკვევიან, რომ აქ იყო მიმოხილული სხვადასხვა საკითხები, მაგალითად ის, რომ ბაკალავრიატის სტუდენტს არ შეუძლია პედაგოგობა. ძირითადად ყველას აზრი უკავშირდებოდა მთარგმნელობით უნარს, რაც მათ სჭირდებოდათ. ასევე კომუნიკაციის და ინგლისურ ენაზე დოკუმენტაციის შედგენას და წარმოებას. ასეთი ბაზრის კვლევა დაიდო.
ირინა ლობჟანიძე დაინტერესდა, B2 დონის ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტს შეუძლია თუ არა მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება?
რაზეც თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა ,რომ დღესდღეობით ეს გათვალისწინებულია ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში, რომ B2 დონის კომპეტენციით, ცოდნით და უნარებით, რა კომპეტენციასაც ეს დონე მოიცავს და ითვალისწინებს, შეძლებს წერილობითი თარგმანის განხორციელებას.
საბჭოს წევრი, დავით ჩოჩიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა 22-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც წერია: „გაუმჯობესდეს კარიერის განვითრების ცენტრის მიერ მიწოდებული სტუდენტური სერვისები“, და დაინტერესდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები ამ რეკომენდაციის ფორმულირებისას?
რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს ეხებოდა ინტერვიუს შედეგად მიღებულ ინფორმაციას, სადაც სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სპეციალობის მიხედვით, ინგლისურ ფილოლოგიაზე ნაკლებად იღებენ ინფორმაციას, მომავალი კარიერული პერსპექტივების შესახებ. შესაბამისად ამან გამოიწვია ეს რეკომენდაცია.
  დავით ჩოჩიშვილმა დააზუსტა, რომ პროგრამაში არ იყო ასახული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და დაინტერესდა, იძლეოდა თუ არა პროგრამა კარიერის განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილი სტუდენტური სერვისების შესახებ ინფორმაციას?
რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს სტანდარტი სერვისსაც ეხება და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ეს ყველაფერი.
თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ეს უფრო დაკავშირებულია სტუდენტის მხარდაჭერის სერვისებთან და არა პროგრამასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:07 სთ
დასრულების დრო: 15:45 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის

განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 3^1 პუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელსა და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბოლოოდ, საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1.1 რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზნის ის ნაწილი, რომელიც ეხება შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას ინგლისურ ფილოლოგიაში და ერთიანი სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონე განისაზღვროს, როგორც მისაღწევი ენობრივი კომპეტენცია და არა როგორც ფილოლოგის კომპეტენცია.

- რეკომენდებულია ბაზრის კვლევა ჩატარდეს პროგრამის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- პროგრამის მიზნებში ასახული თარგმანის უნარის რეალისტურობისა და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია თარგმანის კომპონენტის გაძლიერება პროგრამის შინაარსში სავალდებულო პრაქტიკული კურსების ინტეგრაციით.
- რეკომენდებულია პროგრამის მიზანში გათვალისწინებული კულტურის ფართო ცოდნის ფორმირების უზრუნველსაყოფად, კულტურასთან დაკავშირებული საგნები არჩევითი ბლოკიდან გადმოვიდეს სავალდებულო ბლოკში.
- პროგრამის მიზანში ამოღებულ იქნეს სიტყვა დარგობრივი მეორე უცხო ენების ნაწილში.

1.3 რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს და ამოქმედდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისთვის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, პერიოდულობა და გარე დაინტერესებული მხარეების სწავლის შედეგების შეფასების პროცესებში ჩართვის ფორმები და მექანიზმი.

1.4 რეკომენდებულია პროგრამაში გაიზარდოს ინგლისური ენის შესწავლისთვის გამოყოფილი კრედიტები და ზოგადი ინგლისური ენის სწავლება დაიწყოს პირველივე სემესტრიდან.

- რეკომენდებულია პროგრამაში გადაიხედოს და ლოგიკური თანმიმდევრობით განისაზღვროს კურსების წინაპირობები.

1.5 რეკომენდებულია აკადემიური წერის სილაბუსში გადაიხედოს კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლის შედეგები და სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

• რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ,,ლექსიკოლოგია'', ,,სტილისტიკა'', ,,პრესა 1'', ,,გრამატიკა 2 (B1+),'' ,,ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის -სამართალი'', ,,ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისათვის - TOEFL iBT,'' ,,საუბარი და ლექსიკა 3'' განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაზუსტდეს ჩასაბარებელი სამიზნე უცხო ენა (ინგლისური) სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევის მიზნით.

2.2 რეკომენდებულია, პრაქტიკის სილაბუსით/სილაბუსებით განისაზღვროს და დაკონკრეტდეს პრაქტიკის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელების ვინაობა, პრაქტიკის მიზნები, შინაარსი და მისაღწევი შედეგები.
• პრაქტიკის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

2.4 რეკომენდებულია, განხორციელდეს კურსის ,,IELTS - ინგლისური ენა აკადემიური გამოცდისთვის'', ,,ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის - სამართალი'' და ,,თარგმანმცოდნეობის შესავალი'' შეფასების ფორმატის შესაბამისობაში მოყვანა კურსის მიერ დასახულ მიზნებთან, შინაარსსა და შედეგებთან.
• რეკომენდებულია, პროგრამის საბაკალავრო ნაშრომები შესრულდეს ერთი უნიფიცირებული აკადემიური სტილით და მოხდეს სტუდენტთა წინასწარი ინფორმირება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ.
• პლაგიატის პრევენციის მიზნით, რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომები შემოწმდეს უნივერსიტეტში მოქმედი ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამით.

3.1 რეკომენდებულია სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა და ამოქმედება.

4.1 რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების მკვეთრად გამიჯვნა და დელეგირება, რაც პროგრამის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.
• მოწვეული პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის თვითშეფასებისა და განვითარების პროცესში.

4.3 რეკომენდებულია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
● რეკომენდებულია, გაძლიერდეს მუშაობა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების და კვლევითი მუშაობის მხარდასაჭერი აქტივობების უზრუნველყოფის მიმართულებით.
4.5 რეკომენდებულია, სკოლის ბიუჯეტში დაზუსტდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების საპროგნოზო მოცულობა.
5.1 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოხდეს სტუდენტთა მიერ კურსების და პროგრამის/განმახორციელებელი პერსონალის ყოველსემესტრული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში;
• რეკომენდებულია, დამსაქმებლისა და მოწვეული პერსონალის მეტად ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასების პროცესში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;

5.3 პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემატური გამოყენება პროგრამის მონიტორინგის პროცესში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;
• პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

რჩევები:
1.5 რეკომენდებულია ლიტერატურის ისტორიის კურსებში დაკორექტირდეს სწავლის შედეგები.
2.2 კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით, სასურველია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტთა სამეცნიერო კლუბის მუშაობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3.1 გაუმჯობესდეს კარიერის განვითრების ცენტრის მიერ მიწოდებული სტუდენტური სერვისები.
5.2 სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით მოხდეს პროგრამის შეფასება დარგის ადგილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან;

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია Pharmacy
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.09.2018, გადაწყვეტილება №66
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა (ინლისურენოვანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916 Pharmacy
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ვაჟა-ფშაველას გამზ. 33, 0177 (0186), თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ხათუნა თოდაძემ.
საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინე ფხაკაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის შეფასება განხორციელდა ვიზიტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა იყო 2022 წლის 25 ნოემბერს წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. შესწავლილი იქნა პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაცია და შესაბამისად ის მატერიალური რესურსი, რომელიც ემსახურება პროგრამის განხორციელებას. აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია ფარმაციის ბაკალავრის მომზადებაზე, იმ თვალსაზრისით რომ სპეციალისტი იქნება კვალიფიციური, მოთხოვნადი და გაუწევს კონკურენციას სხვა ალტერნატიული პროგრამების კურსდამთავრებულებს. ხუთივე სტანდარტი შესაბამისია პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან. პროგრამასთან მიმართებით გაცემული იქნა მხოლოდ რჩევები. აღნიშნული რჩევები ორიენტირებულია ნებისმიერი პროგრამის განვითარებაზე. შესაბამისად ინსტიტუციამ და განმავითარებელმა ჯგუფმა არგუმენტირებულ პასუხში დააფიქსირა პოზიცია, რომ იმუშავებენ აღნიშნული რჩევების შესასრულებლად. პროგრამის განხორცილების დროს გამოყენებულია ის გამოცდილება, რომელიც დაგროვილია ათწლეულების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ, როგორც ადამიანური რესურსის გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე იმ ფართო შესაძლებლობებით, რომელიც გააჩნია პროგრამას სხვადასხვა მიმართულებით.
მან ასევე თქვა, რომ წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ფარმაციის ქართულენოვან პროგრამას და ეს გამოცდილება რეალიზებული იქნა ინგლისურენოვანი პროგრამის განხორცილების პროცესში.
პროგრამა თავად გახლდათ აკრედიტებული 2012 წელს, 2018 წლიდან კი ხორციელდებოდა ავტორიზებულ რეჟიმში. მოთხოვნების შესაბამისად, ინსტიტუციის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ხელახლა წარედგინათ პროგრამა სააკრედიტაციოდ. მან ასევე დაამატა, რომ აღნიშნული ინსტიტუციის ბაზაზე არსებობს სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის ლოკალური ცენტრი, სადაც წელიწადში რამდენჯერმე ხორციელდება აკადემიური პერსონალის გადამზადება არამხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში, არამედ სახელმწიფოს მასშტაბით. ეს შესაძლებლობა კი, რა თქმა უნდა, გამოყენებულია პროგრამის მიერ, პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კომპეტენტური, საქმიანი, კონსტრუქციული და ამავე დროს კრიტიკული შეფასებისთვის და თქვა, რომ რჩევები

ნამდვილად გასათვალისწინებელია, მაგრამ ამ ეტაპზე ყველა რჩევას ვერ გაითვალისიწინებენ, რადგან ზოგიერთი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ინსტიტუციასთან, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ამ ეტაპზე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წვდომა სამეცნიერო ბაზებზე? იგულისხმება წვდომა როგორც ინსტიტუციის მიღმა, ისე ინსტიტუციის სივრცეში.
პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ ბიბლიოთეკის ბაზა არის უზრუნველყოფილი სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისათვის, რაც ცნობილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის. სპეციალური პროგრამის (საშუალებით) სტუდენტები ადგილზე ახდენენ ბიბლიოთეკის ბაზაში ელექტრონულად შესვლას, ხოლო აკადემიურ პერსონალს აქვს საშუალება, უნივერსიტეტის მიღმაც მოქნილად შევიდნენ ბაზაში. ბაზა მოიცავს საერთაშორისო და ქართულ ლიტერატურას. მისი თქმით, ისინი მუდმივად თანამშრომლობენ ბიბლიოთეკასთან. და აქვე აღნიშნა, რომ მუდმივად ხდება კონტროლი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ რომ ლიტერატურა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის.
გარდა ბიბლიოთეკის ბაზისა, დეპარტამენტებშიც აქვთ ლიტერატურა, რომელიც არის აუცილებელი. რაც არის მატერიალური სახით. ასევე პირადი გვერდის საშუალებით მათ ლიტერატურაზე მუდმივად აქვთ წვდომა ნებისმიერი ადგილიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:56 სთ
დასრულების დრო: 16:07 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:

1.4 სასურველია სასწავლო კურსები „ადამიანის ანატომიის საფუძვლები“ და „ჰისტოლოგიის საფუძვლები“ ისწავლებოდეს ერთდროულად პირველ სემესტრში, ან ადამიანის ანატომიის საფუძვლები უსწრებდეს ჰისტოლოგიის საფუძვლებს.
2.2 სასურველია კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა
2.4 სასწავლო კურსებში „კლინიკური უნარ-ჩვევები“ „კომუნიკაციის უნარები“ სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად გამოყენებულ იქნას შეფასების თანამედროვე მეთოდი- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE).

3.1 სასურველია, სტუდენტებს მიეწოდოთ ზუსტი ინფორმაცია კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის სარგებლობის შესახებ, მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით.
4.4 სასურველია, სახელმძღვანელოების გაციფრულების დროს ბიბლიოთეკა სიფრთხილით მოეკიდოს საავტორო უფლებების დაცვის საკითხს, რათა არ მოხდეს მათი უნებლიე დარღვევა;

- სასურველია, ყველა სამეცნიერო ბაზაზე არსებობდეს დისტანციურად წვდომის შესაძლებელობა, რათა საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის მიღმა ხელმისაწვდომი იყოს ყველა რესურსი;
- სასურველია, პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით გააძლიეროს სამენციერო ბაზების პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის.

4.5 სასურველია, შემოსავლების ზრდის პარალელურად ინსტიტუციამ შეიმუშაოს მექანიზმი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური წახალისების მიზნით, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას და დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე.

5.3 სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა აქტიურად გამოიყენოს ის საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია და მოახდინოს მოცემული პროგრამის უცხოურ ანალოგებთან შედარება.

3. მესამე საკითხი. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა Ship’s Power Plants
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07.12.2018, გადაწყვეტილება №195
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გემის მექანიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები, 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 6000, ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გივი სანაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შეფასდა მხოლოდ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები. მთლიანობაში პროგრამა შესაბამისია და პასუხობს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. აქვე აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტი არ ყოფილა, მაგრამ ორი წლის წინ ექსპერტი იმყოფებოდა ანალოგიური ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციასა და მონიტორინგზე, შესაბამისად აქ გაცემული რეკომენდაციებიც გათვალისწინებულია ამ ქართულენოვან პროგრამაში, რაც ძირითადად ეხება ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ პროგრესს. აქვე დაამატა, რომ პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს ქონდა მხოლოდ რჩევები და არა რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ყველა რჩევა არის ქმედითი და მიმართულია პროგრამის დახვეწისკენ. აქვე დაამატა, რომ ყველა რჩევის შესრულება პრაქტიკულად დამოკიდებულია მათზე და აუცილებლად

გაითვალისწინებენ ყველას. ასევე გახლავთ ერთი რჩევა, რომელიც უკავშირდება დარგობრივ მახასიათებელს და რა თქმა უნდა, დაწესებულება დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით მიიღებს იმ ზომებს, რომლის საშუალებასაც დარგობრივი მახასიათებელი აძლევს. მან ასევე თქვა, რომ ეს იყო პირველი პროგრამა, რომელიც დაწესებულებამ მოიყვანა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში. ბოლოს კი აღნიშნა, რომ შესაბამისობაში მოყვანის პროცესს ცვლილებები არც პროგრამის მიზნებში და არც შინაარსობრივ ნაწილში გამოუწვევია. შესაბამისად, არც პროგრამის სწავლის შედეგებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდა უსდ-ს პროგრამაზე? რაზეც უპასუხეს, რომ პროგრამაზე ჰყავდათ 281 სტუდენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:12 სთ
დასრულების დრო: 16:22 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობასთან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ “გემის მექანიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:
1.2 სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მოკლედ.
1.3 სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მოკლედ.
1.4 სასურველია გაზრდილ იქნას ინჟინრის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სასწავლო კურსების (საინჟინრო გრაფიკა, თეორიული მექანიკა, მექანიზმების და მანქანების თეორია, მანქანათა ნაწილები, მათემატიკა, ქიმია) კრედიტები.
1.5 მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „მასალათგამძლეობა (ძირითადი ცნებები)“ დასახელება შეიცვალოს სახელწოდებით „მასალათა გამძლეობა“.

4.1 პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია აკადემიური და აფილირებული პერსონალის გაზრდა და ბალანსის დაცვა მოწვეულსა და აკადემიურ პერსონალს შორის.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო სანამანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა Economics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.07.2019, გადაწყვეტილება №150
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ირინა გველესიანმა.
საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ლეკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ მასთან ერთად ექსპერტთა ჯგუფში იმყოფებოდა მაია ბარამიძე. თავდაპირველად მათ განიხილეს არაგეგმური მონიტორინგის შედგები, აქედან დარჩენილი იყო მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რომელიც შესრულდა. ეს იყო 1.2 და 2.2 კომპონენტები. პირველი ეხებოდა სწავლის შედეგების ფორმულირებას, რაც ინსტიტუციამ გადაამუშავა და 29 შედეგიდან ამ ეტაპზე დარჩენილია 12 შედეგი. კლასიფიცირდა ცოდნა-გაცნობიერების უნარები , პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მიხედვით. არამარტო რაოდენობრივად მოხდა შემცირება, არამედ ამ სტანდარტების სახელმძღვანელოს მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ექსპერტების მიერ იქნა შესწავლილი და დასტურდება, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია .
მეორე რეკომენდაცია ტექნიკური ხარვეზის სახით იყო აღნიშნული, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ინსტიტუციამ გადაწყვიტა, რომ ეკონომიკის ბაკალავრი როგორც კვალიფიკაცია, განესაზღვრა აღნიშნული პროგრამით და შესაბამისად ეს რეკომენდაციაც არის გათვალისწინებული .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, არჩილ ჯანგირაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25 სთ
დასრულების დრო: 16:27 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო სანამანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე

მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი. შპს ალტე უნივერსიტეტის „საერთაშორო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.12.2021, გადაწყვეტილება №1351860
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართელო, 0177, თბილისი უნივერსიტეტის ქ. №2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტი, ირაკლი მანველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული რეკომენდაციები. ასევე აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების გარდა დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა გაცემული რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების პრეზიდენტი, რამაზ კუკულაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ ძალიან შეეცადნენ ყველა რეკომენდაცია შეესრულებინათ და ასევე გაითვალისწინეს თითქმის ყველა რჩევა. ბოლოს კი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა .

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16: 48 სთ
დასრულების დრო: 16:50 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის „საერთაშორო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშისცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს ალტე უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.10.2021, გადაწყვეტილება №1117365
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი/Master of Directing 2. სამსახიობო ხელოვნების მაგისტრი/Master of Acting
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება 0215
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო, (უნივერსიტეტის A, C და D კორპუსები და ილიაუნის თეატრი)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ.
საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ნინო გუნია-კუზნეცოვა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ ეს პროგრამა ძალზედ საინტერესოა და დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებით, რასაც მიესალმნენ. რამდენადაც, ის გაეცნო უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, მხოლოდ მე-2 სტანდარტთან მიმართებაში იყო რეკომენდაციები გაცემული. სულ გახლდათ 6 რეკომენდაცია, აქედან უმრავლესობა იყო ტექნიკური ხასიათის. ის რეკომენდაციები, რომლებიც ტექნიკური ხასიათის მატარებელი იყო, მარტივად და სრულყოფილად იქნა გაზიარებული 3,4 და მე-6 კომპონენტებში. ხოლო ის რეკომენდაციები რომლებიც გარკვეულწილად უფრო პრინციპულ მიდგომას გულისხმობდა, 1-ელ რეკომენდაციაში კურსთა სიმღერის ხელოვნება, საბჭოს რეკომენდაცია არ იყო გათვალისწინებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისაღებ კონტინგენტს ზრდის ამ წინაპირობის არქონა, მაგრამ ცხადია, რომ შედეგებზე გასვლა უფრო გაჭირდება.
რეკომენდაცია 2, რომელიც ეხებოდა ორ კურსს „პერფორმანსი და ინსტალაცია“ პრაქტიკული კურსი და „სივრცის დიზაინი“. ეს ორი სილაბუსი საკმაოდ მსგავსია. ნაწილი რეკომენდაციისა, რომელიც მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნებას ეხებოდა, იყო გაზიარებული მაგრამ, სხვა ამ რეკომენდაციის ნაწილები არ იყო გათვალისწინებული. კონკრეტულად, დავალებების შინაარსობრივი დაკონკრეტება არ მოხდა, ასევე არ დაკონკრეტდა, ხდება თუ არა ვიზუალურ თუ საშემსრულებლო დარგში ამათუიმ დავალების შესრულება. შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმებიც არ იყო დაკორექტირებული. ვინაიდან ეს ორი კურსი არის ძალიან მსგავსი, ექსპერტის აზრით, მომავალში პროგრამის განვითარებასთან ერთად, თვითონ პროგრამის ხელმძღვანელები ან გამიჯნავენ უფრო რადგან თუ პერფორმანსი და პრაქტიკული ინსტალაციის კურსი წავა საშემსრულებლო პერფორმანსის განხრით, მაშინ იქ გაცილებით მეტი აქცენტი წავა საშემსრულებლო ხელოვნებაზე და პედაგოგიც ამ დარგის უნდა იყოს.
შესაბამისად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციების არგათვალისწინებამ ჯამურად პროგრამის შედეგზე არ უნდა იმოქმედოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ჟვანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.
ილიაუნის თეატრის დირექტორი, ნატალია თვალჭრელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ ეს პროგრამა ახალია. სწავლა დაიწყეს ოქტომბრიდან და სტუდენტებიც ახლა მიიღეს. აქვე გამოეხმაურა ექსპერტის განცხადებას კონტიგენტის შესახებ. დაწესებულება ცდილობს, მიიღოს მხოლოდ ისეთი სტუდენტები, რომლებიც დარწმუნებულები არიან რომ

დაძლევენ ამ პროგრამას. ყველა წინაპირობას აკმაყოფილებენ იმისთვის, რომ ეს რთული და ინოვაციური პროგრამა დაძლიონ. წელს დაწესებულებას შეეძლო მიეღო 20 სტუდენტი, მაგრამ სამ ტურიანი შესარჩევი გამოცდების შედეგად, მიიღეს მხოლოდ 10 სტუდენტი.
რაც შეეხება რეკომენდაციებს მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია გულისხმობს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კურსის სწავლის შედეგები. აქ არ არის ნახსენები არცერთი ცალკეული კურსი, მითუმეტეს არ არის ნახსენები წინაპირობა. ასევე მან თქვა, რომ საერთოდ არ ყოფილა წინაპირობების შესახებ რეკომენდაცია გაცემული. შესაბამისად, ეს ორი კურსი ერთად, სიმღერის ხელოვნება 1 და სიმღერის ხელოვნება 2, კონკრეტულად მითითებული არ ყოფილა. შესაბამისად დაწესებულებამ ჩათვალა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში კურსების სწავლის შედეგების მოყვანა გულისხობდა ფორმულირებებს, რომელიც შეცვალეს.
ვინაიდან არ ყოფილა გაცემული არანაირი რეკომენდაცია წინაპირობასთან დაკავშირებით, შესაბამისად დაწესებულებას წინაპირობები ამ კურსში არ ჰქონია და არც ჩაუსვამთ, გარდა იმისა რომ სიმღერის ხელოვნება 2-ს აქვს, წინაპირობა სიმღერის ხელოვნება 1. თუმცა მსჯელობა იმის შესახებ, უნდა იცოდეს თუ არა მსახიობმა ნოტების კითხვა, ფიქრობენ, რომ არცერთი თეატრალური პროგრამა არსად მსოფლიოში არ ასწავლის ნოტების კითხვას მსახიობს. მსახიობები მხოლოდ სწავლობენ სიმღერას სმენით, ამ სმენას კი ამოწმებენ მისაღები გამოცდების დროს რომლითაც იღებენ სტუდენტს .
ვინაიდან საერთოდ არ ყოფილა ჩაწერილი წინაპირობა, არც დასკვნაში, არც რეკომენდაციებში, რომელიც გაიცა საბჭოს მიერ, ამ საკითხს საერთოდ არ შეხებიან.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ერთ-ერთი პუნქტი ამბობს, რომ კურსი არის პრაქტიკული და დასვეს შეკითხვა, თუ რატომ იყენებენ სწავლის მეთოდად სემინარს?
მისი თქმით, კურსი მართლაც არის აბსოლუტურად პრაქტიკული და მიიჩნიეს, რომ სემინარიც პრაქტიკული სწავლების მეთოდია, შესაბამისად დატოვეს სემინარი. სემინარში იგულისხმება დისკუსია და განხილვა, სადაც სტუდენტები განიხილავენ თავიანთ შესრულებულ საველე სამუშაოებს.
რაც შეეხება კურსში თემების დაკონკრეტებას, თემების და ჟანრის, რომელშიც სრულდება დავალება, დაწესებულებას პრინციპული დამოკიდებულება აქვს რომ დავალებები უნდა დაკონკრეტდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიკვრება ჯგუფი და გადაწყდება მათი, როგორც შემოქმედებითი ინტერესები, ისე საჭიროებები, ვინაიდან ეს პროგრამა დაფუძნებულია სახელოსნოს პრინციპზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ რეჟისორებმა და მსახიობებმა ერთად მიიღონ გადაწყვეტილებები. დაწესებულება მათ გარკვეულ თავისუფლებას აძლევს, სხვადასხვა კურსებში, არამარტო აქ, არამედ სადიპლომო სპექტაკლისას, მაგალითად თავად შეარჩიონ ის თემები და ჟანრი, რომელზეც მათ სურთ მუშაობა. შესაბამისად, დაკონკრეტებული არ არის დავალებები, არამედ, დაკონკრეტებულია დავალების შინაარსი, მაგრამ არა თემა, ამ გარემოებიდან გამომდინარე. დავალებების შეფასების სისტემა, რომელიც დეტალურად არის გაწერილი, გულისხმობს სწორედ ამას, რომ იმის მიხედვით, თუ რა ტიპის დავალებას შეასრულებენ ჯგუფური საჭიროებებიდან გამოდინარე. შესაბამისად, ნებისმიერი ტიპის დავალებას ერგება ეს შეფასების სისტემა. ზუსად ასე აქვთ სადიპლომო სპექტაკლიც.
პროგრამის ხელმძღვანელი, ივანე ხუციშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ სადიპლომო სპექტაკლები, დავალებები რომლებიც ჯგუფის საჭიროებიდან, მათი შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარეობს, პერფორმანსის და ინსტალაციის ხელოვნება, რაც აბსოლუტურად ინოვაციური სწავლებაა მისი აზრით, რისი დიდი გამოცდილებაც არ არსებობს და პირველი მცდელობაა საქართველოში, რომ ეს ასწავლონ და თქვა რომ თანამედროვე თეატრალური ხელოვნება აზროვნებას უნდა შეისწავლიდეს ამ ფორმატში, რადგან თანამედროვე თეატრის განხილვა ამის გარეშე, ძალიან რთულია, ვინაიდან, პროცენტულად ძალიან დიდი ადგილი დაიკავა როგორც ინსტალაციამ, ისე პერფორმანსის ხელოვნებამ. პრაქტიკულად, დღეს თანამედროვე მსახიობი თუ არ არის ერთგვარად მისი

იდეის პერფორმერი, ის ვერ განიხილება როგორც თანამედროვე მსახიობი. სწორედ ამიტომ შემოიტანეს ეს საგანი, რომლის სილაბუსი შემოიტანეს პედაგოგთან შეთანხმებით და მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია ამ კურსის ამ ფორმით სწავლება.
ნინო გუნია-კუზნეცოვამ დაამატა, რომ არავითარი პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეთ ამ ორ საგანთან მიმართებაში, სწორედ იმიტომ რომ ეს ორი საგანი არის ინოვაციური , იმიტომაც სთხოვდნენ მაქსიმალურ გაწერას, რომ სხვადასხვა კურს შორის განსხვავება უფრო თვალნათელი ყოფილიყო. მათი ამოცანა სწორედ ეს იყო და არა თვითონ ამ კურსის შექმნის საჭიროების დაკნინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
გოდერძი ბუჩაშვილმა დაუსვა შეკითხვა ექსპერტს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ამბობდა: კურსის სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან მოვიდეს შესაბამისობაში.
აღწერილობით ნაწილში კი წერია, რომ წინაპირობების საკითხია წინა შეფასებაში განხილული და დაინტერესდა,
კურსების სიმღერის ხელოვნება 1 და სიმღერის ხელოვნება 2 სწავლის შედეგები შესაბამისობაში არის თუ არა პროგრამასთან?
ექსპერტმა თქმით ამ ორ კურსზე იმიტომ გაკეთდა მითითება, რომ თვითონ ანგარიშში იყო მოცემული ეს კონკრეტული კურსები ამ რეკომენდაციასთან მიმართებაში.. რადგანაც ეს არის სამაგისტრო პროგრამა, არსად სამსახიობო ოსტატობაზე არ მოითხოვება მუსიკალური განათლებ და ყველა ნამდვილად სმენით სწავლობს, მაგრამ ვინაიდან პროგრამა არის ძალიან რთული და გადის ორ კვალიფიკაციაზე, მათ შორის რეჟისურაზეც, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უკეთესი იქნებოდა წინაპირობაში გაიწეროს ეს უნარები, ანუ ცოდნა პროფესიული, მუსიკალური რომელიც გაცილებით უკეთეს შედეგზე გაიყვანს მაგისტრის დიპლომის მფლობელს .
ექსპერტის აზრით, რეჟისორს, რომელსაც არ შეუძლია ნოტების კითხვა, ექნება პრობლემა გარკვეულწილად კურსის დაუფლებისას.
ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ რეჟისორები ამ კუთხით საერთოდ არ სწავლობენ .
ექსპერტის მოსაზრებით, ეს სჭირდება ორივეს სამაგისტრო დონეზე .
ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ როდესაც მათ გადახედეს კურსებს ამ რეკომენდაციების შესაბამისად, სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანის ნაწილში, რაც შეეძლოთ გაეკეთებინათ, ეს იყო ფორმულირების შესაბამისობაში მოყვანა სწავლის შედეგების ნაწილში. სადაც თვალში მოხვდათ ფორმულირებების ხარვეზები, გამოასწორეს. მისივე თქმით, არც მსჯელობის დროს და არც დასკვნაში, არ ყოფილა საუბარი იმაზე, რომ რომელიმე კურსის სწავლის შედეგი შინაარსობრივად აცდენილი იყო პროგრამის სწავლის შედეგებს ან რუკა არ იყო სწორად გაკეთებული, არამედ საუბარი იყო სწავლის შედეგების ფორმულირებების ჩამოყალიბებაზე. ასევე აღნიშნა, რომ როდესაც გადახედეს დასკვნას და ოქმს, იქ არ იყო მითითებული კონკრეტულად რომელიმე კურსი, მათ გადახედეს ყველა კურს რეკომენდაციების შესაბამისად. იმის გამო, რომ რომელიღაც კურსს არ ქონდა წინაპირობები და ჩაითვალა რომ ამ კურსის სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, ასეთი მსჯელობა არ ყოფილა არ ვიზიტის და არც საბჭოზე განხილვის დროს. უბრალოდ, მათ გაამახვილეს ყურადღება ამ საკითხზე, ვინაიდან დასკვნაში იყო მითითება სიმღერის ხელოვნების პირველი და მეორე კურსის წინაპირობებზე, თუმცა მსჯელობა რომ რომელიმე კურსის წინაპირობების გამო ამავე კურსის სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, არ ყოფილა. სემინართან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეთანხმებიან ექსპერტს და ფიქრობენ, რომ სემინარი არის სწავლების პრაქტიკული მეთოდი და თუ კურსი იყენებს ამ ფორმატს, იმისთვის, რომ განიხილოს მასალები, ეს არის მისაღები ფორმულირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:12 სთ
დასრულების დრო: 17:40 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 17:43 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა